შემოქმედებითი კონკურსი
შექმენი ფოთის ახალგაზრდული ჰაბის ჰიმნი!

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ჰაბის“ (შემდგომში - ჰაბი) შემოქმედებითი კონკურსის „შექმენი ფოთის ახალგაზრდული ჰაბის ჰიმნი!“ (შემდგომში - კონკურსი) ჩატარების წესს, პირობებს, მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურას.

1.2. კონკურსის ორგანიზატორია ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ჰაბი“.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი და ამოცანები

2.1. კონკურსის მიზანია ჰაბის ოფიციალური, უნიკალური მუსიკალური იდენტობის (ჰიმნის) შექმნა.

2.2. კონკურსის ამოცანები:

- ახალგაზრდებში შემოქმედებითი, მუსიკალური და პოეტური ნიჭის გამოვლენა და წახალისება;
- ახალგაზრდების ჩართვა ჰაბის კულტურული იმიჯის ფორმირებაში;
- ახალგაზრდული ჰაბის რესურსების პოპულარიზაცია.

მუხლი 3. საკონკურსო თემატიკა და მუსიკალური ფორმატი

3.1. საკონკურსო ნამუშევარი (ტექსტი და მუსიკა) უნდა გამოხატავდეს ახალგაზრდულ ენერგიას, მოტივაციას, ერთობას. ქალაქ ფოთის უნიკალურ ხასიათსა და მის ზღვისპირა, დინამიურ რიტმს.

3.2. მუსიკალური ჟანრი თავისუფალია.

3.3. სიმღერის ხანგრძლივობა (ქრონომეტრაჟი) უნდა შეადგენდეს 2:00-დან 3:30 წუთამდე.

3.4. სიმღერის ტექსტი უნდა იყოს ქართულ ენაზე, გამართული, პოზიტიური და შინაარსობრივად დაკავშირებული ახალგაზრდულ თემატიკასთან.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

4.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად (კოლაბორაცია).

4.2. კონკურსში მონაწილეობისთვის სავალდებულოა ელექტრონული განაცხადის (Google Form) შევსება. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

- **სიმღერის ტექსტი** (Word-ის ფორმატში);
- **სიმღერის დემო-ვერსია** (მელოდია/ბიტი ტექსტთან ერთად. დასაშვებია სამოყვარულო, მათ შორის სმარტფონით ჩაწერილი აუდიო ფაილი);
- **სააპლიკაციო განაცხადი:** მონაწილის სახელი, გვარი, ასაკი, საკონტაქტო ტელეფონი და მოკლე ინფორმაცია შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ.

4.3. საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს ორიგინალური, ექსკლუზიურად ამ კონკურსისთვის შექმნილი და არ უნდა ეხებოდეს მესამე პირთა საავტორო უფლებებს.

4.4. კონკურსში ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალური არანჟირების (Arrangement/Production), მიქსინგის, მასტერინგის ან დამხმარე მუსიკალური პარტიების/ბიტების შექმნის პროცესში. სიმღერის ძირითადი მელოდია (კომპოზიცია), წამყვანი ვოკალი და ტექსტი უნდა იყოს

ექსკლუზიურად ადამიანის (კონკურსანტის) მიერ შექმნილი. AI-ს მიერ გენერირებული ნამუშევრები (ტექსტი და მელოდია) კონკურსზე არ დაიშვება.

მუხლი 5. ჰაბის აუდიო სტუდიით სარგებლობის წესი

5.1. მონაწილეებს, რომლებსაც აქვთ საინტერესო მუსიკალური იდეა, ტექსტი ან პირველადი დემო-ვერსია, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი სტუდია, უფლება აქვთ ისარგებლონ ფოთის ახალგაზრდული ჰაბის აუდიო სტუდიით.

5.2. სტუდიით სარგებლობა (ვოკალის ჩაწერა, არანჟირება, Cubase/FL Studio და სხვა პროგრამებთ დამუშავება) მოხდება წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით, შესაბამის სპეციალისტთან კოორდინაციით.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები და ვადები

6.1. კონკურსი ხორციელდება შემდეგ ვადებში:

- **I ეტაპი (ნამუშევრების მიღება):** 30.07.2026-დან 18.09.2026 - ჩათვლით.
- **II ეტაპი (შეფასება და ფინალისტების გამოვლენა):** 21-25 სექტემბერი 2026 წ.
- **III ეტაპი (გამარჯვებულის გამოცხადება):** 08 ოქტომბერი 2026 წ.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები და ჟიური

7.1. ნამუშევრებს შეაფასებს ჰაბის მიერ მოწვეული სპეციალური ჟიური.

7.2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

- ტექსტისა და მუსიკალური რიტმის შესაბამისობა ჰაბის იდეოლოგიასთან (მაქს. 10 ქულა);
- მელოდიურობა და ენერგიულობა (მაქს. 10 ქულა);
- ნამუშევრის ორიგინალურობა და კრეატიულობა(ტექნოლოგიური/AI არანჟირების გემოვნებიანი გამოყენების ჩათვლით (მაქს. 10 ქულა).

მუხლი 8. გამარჯვებულის დაჯილდოება და პრიზები

8.1. ჟიურის მიერ გამოვლენილ საუკეთესო ნამუშევრის ავტორს გადაეცემა:

- **მთავარი პრიზი:** ფულადი ჯილდო 2000 ლარის ოდენობით და სერთიფიკატი;
- **სტუდიური ჩაწერა:** გამარჯვებული ჰიმნის პროფესიონალური ჩაწერა ფოთის ახალგაზრდული ჰაბის აუდიო სტუდიაში;
- **ოფიციალური სტატუსი:** გამარჯვებული ნამუშევარი გამოცხადდება „ფოთის ახალგაზრდული ჰაბის“ ოფიციალურ ჰიმნად და გამოყენებული იქნება ორგანიზაციის საინფორმაციო თუ ოფიციალურ ვიდეო/აუდიო მასალაში.

მუხლი 9. საავტორო უფლებები

9.1. კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრის (ტექსტისა და მუსიკის) საავტორო და ექსკლუზიური გამოყენების უფლება უვადოდ გადაეცემა ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ჰაბს“.

9.2. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, გამოიყენოს ჰიმნი საკუთარ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში, სატელევიზიო თუ რადიო ეთერებში და საჯარო ღონისძიებებზე.

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული ჰაბის დირექტორი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ჰაბი • Youth Hub of the Municipality of Poti • 415119794